

**ილია ჭავჭავაძე ისტორიაში პიროვნების
როლისა და გაემიწინებლ ქართულ
ისტორიულ მოღვაწეთა
მნიშვნელობის შესახებ**

ილია ჭავჭავაძე დიდად აფასებდა ძველ ქართულ საისტორიო მწერლობას, მაგრამ მის ზოგიერთ ნაკლოვან მხარეზედაც დაუფარავად მოუთითებდა. კერძოდ, მიაჩნდა, რომ მასში ხალხის ცხოვრება სათანადოდ არ იყო ასახული: "ჩვენი "ქართლის ცხოვრება" ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი, როგორც მოქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული" (14.201).

ამ პრობლემას ილიამდე ცოტათი ადრე (1854) დ. ყიფიანიც შეეხო: "...ჩვენი მატყანეების ზოგადი ხასიათი — ესაა მეფობათა მარტივი ჩამოთვლა... მაგრამ მეორეხარისხოვან პიროვნებებს, რომლებმაც ტახტისა და სამშობლოს სამსახური ცნობილ სახალხო მოვლენებთან დაკავშირებული გმირობით აღნიშნეს, ისტორია თითქმის არსად გვიხატავს" (17.155).

საბოლოო ანგარიშით ხალხის ცხოვრების შესწავლის მნიშვნელობაზე ყურადღება სამოციანელთა თაობამ გაამახვილა. ღვაქრადე, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი და სხვები ამ საკითხისადამი ერთნაირად პოზიტიურ მიდგომას იჩენდნენ.

ისტორიაში ხალხის როლის წინა პლანზე წამოწევა, მისი მნიშვნელობის ჯეროვანი გააზრება XIX საუკუნის ისტორიოგრაფიის საერთო ნიშანი იყო, რასაც განმათავისუფლებელი ბრძოლების აღმავლობა და საგრძნობლად შეცვლილი სოციალური გარემო — მისების პოლიტიკური აქტივობის ზრდა განაპირობებდა.

ილია ისტორიისა და ხალხის დიდ შვილად ისეთ ადამიანებს მიიღო, რომელთა მოქმედება ქვეყნის სასაოცხოლო ინტერესებით განისაზღვრებოდა და სამართლიანობისათვის ბრძოლის იდეით იყო ნასულდგმულები. ასეთი გამორჩეული პიროვნების მაღალი მისიის

სწურთნის ერსა, ზრდის და დიდებულნი საქმენი კიდევ გულს უკეთებენ მოქმედებისათვის, აქებენ, თუ ნაშეცხვად ეს მაგალითები ერის ისტორიისანი არიან. ერი თავის გმირების ცხოვრებითა და მაგალითებით უნდა მსულდგმულობდეს, იე მართლა ერობა მსურს" (14.243).

ჩვენი ისტორიის გარიჟრაჟზე ასეთ ვმირად, სამაგალითო მეფედ მას ფარნავაზი მოქმედებდა. მისი როლი პირველი ქართული სახელმწიფოს შექმნაში უღაოდ დიდია, რაც ისტორიულად დადასტურებულია კიდევ.

ფარნავაზის მეფობის ილიასეული შეფასება ჩვენი შორეული ისტორიის ერთი კონკრეტული პერიოდის რეალისტურ ასახვას წარმოადგენს. არსებობდა განსხვავებული მოსაზრებებიც. მაგალითად, ისტორიკოს დ.ბაქრაძეს ფარნავაზი ისეთ კრებით პიროვნებად წარმოედგინა, რომელსაც მატინე ახლო ხანებში მომხდარ ყველა ისტორიულ მოვლენას უკავშირებდა (3.81). სხვაგვარად ფიქრობს მეორე ცნობილი ისტორიკოსი ს.ბარათაშვილი. მას ფარნავაზის საქმეთა რეალობაში ეჭვი არ ეპარება და თვით ქართული დაშფერლობის შექმნასაც მას მიაწერს (1.52).

აქვე გვინდა შევჩერდეთ ივ.ჯავახიშვილის მტკიცებაზე, თითქოს ი.ჭავჭავაძე არ ეთანხმება ივ.ჯავახიშვილს, რომელიც ფარნავაზს საქართველოს ძველი ისტორიის ცენტრალურ ფიგურად აღიარებდა. სიტყვები: "არა გვგონია "ქართლის ცხოვრების" გარეთ ჩვენმა ავტორმა გვიპოვნოს რაიმე ხსენება ფარნავაზისა ჩვენს ხალხში" (14.61) ივ.ჯავახიშვილს მოჰყავს "ქართლის ცხოვრებისა" და ფარნავაზის მეფობისადმი ილიას კრიტიკული დამოკიდებულების გამომხატველად (16.). სინამდვილეში ციტატა სრული სახით არ არის წარმოდგენილი, რის გამოც მახინჯდება მისი ავტორის თვალსაზრისი. ი.ჭავჭავაძე ჯავახიშვილს სწორედ ფარნავაზის პიროვნებისა და "ქართლის ცხოვრებაში" მის შესახებ დაცული ცნობისადმი გადაჭარბებულ კრიტიკულობაში ადანაშაულებდა.

ილია ასევე დიდად, მაგრამ გადაუჭარბებლად აფასებდა გმირი მეფის - ვახტანგ გორგასლის მნიშვნელობას ქვეყნისათვის და საქართველოს ისტორიაში ღირსეულ ადგილს აკეთებდა მას. ვახტანგის მოღვაწეობაში იგი განსაკუთრებით გამოჰყოფდა კავკასიის

გაერთიანებისათვის გადაღებულ ნაბიჯებს და ავტოკეფალიის მოპოვებას ჩვენი მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ.

კავკასიის ერთიანობა თერგდალეულთა ოცნებაც იყო, რაც ნათლად ჩანს ილიას დიდი თანამებრძოლის - ი.გოგებაშვილის შემდეგი გამონათქვამიდან: "უტყუარი სიმპატია კავკასიონის ხალხებისა ჩვენდამი უძვირფასეს თანხას შეადგენს. თუ ძლიერნი ეძებენ მოკავშირეებს, მით უფრო სანატრელნი არიან იგინი იმისთანა მისუსტებული ერისათვის, როგორც ვართ დღეს ქართველები" (4.381).

IV-V საუკუნეები ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული აღმავლობის ხანაა. ქრისტიანობის გამოცხადება სახელმწიფო რელიგიად იდეოლოგიური და სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური რიგის ეპოქალურ ძვრებს მოახსენებდა. ქვეყნის ფეოდალიზაცია კი სოციალურ სფეროს სწრაფ დაწინაურებას უწყობდა ხელს. ამ პროცესებთან უშუალო კავშირშია განმათავისუფლებელი ბრძოლების აღმავლობა, სოციალური და კულტურული ყოფ.ს დაწინაურება. ისახებოდა რეალური საფუძვლები კავკასიაში ქართული სახელმწიფოს კულტურულ-პოლიტიკური ჰეგემონობისათვის. ამდენად, გასაგებია ილიას განსაკუთრებული ყურადღება ამ ეტაპზე მიმდინარე ისტორიული პროცესების მიმართ.

ჩვენი წარსულის "ოქროს ხანის", დავითისა და თამარის ბრწყინვალე ეპოქის უბრალო გახსენებაც კი ყოველ ქართველს ეროვნული სიამაყის გრძობას უღვიძებს. თუნდაც ამიტომ, მისი უდიერად მოხსენიება, ჩვენი სათაყვანებელი წინაპრების გამიზნული შეურაცხყოფა - ეროვნული ღირსების დაცვის სადარაჯოზე მდგომი მამულიშვილების მძაფრ რეაქციას იწვევდა.

ყოველად უსაფუძვლო და არასერიოზულია ივ.ჯავახიშვილის მსჯელობა დავით აღმაშენებელზე. მის მიერ გამოთქმული ვარაუდი, რომ დავითმა წერა-კითხვა სიბერეში შეისწავლა, ილიას გაკვირვებასა და ირონიას იწვევდა: "კაცი, რომელიც წიგნს თვალიდამ არ იშორებდა მაშინაც, როცა საომრად და ხანადირად დადიოდა, და ამის გამო კინაღამ საშინელ განსაცდელსაც არ შეემთხვია ტფილისის პირას, როცა არაბებს ჩაუსაფრდა, კაცი, რომელმაც სომეხთა სამღვდელთა გაკვირვა თავისი ცოდნითა და მწიგნობრობითა, კაცი, რომელმაც ღირსშესანიშნავი ფსალმუნები დაწერა და რომელიც, ავტორისავე

სიტყვით, ქართველ ყმაწვილებს ჰგზავნიდა სამეცნიეროდ ათონს, ეს კაცი სიბერემდე უვიცი იქნებოდა წერა-კითხვისა?" (14.65).

სავსებით რეალისტურ მიდგომას ეხედავთ ილიას მხრით დავით აღმაშენებლის მეუბის მნიშვნელობის პოლიტიკური ნიშნით შეფასების დროსაც: "აოხრებული ქვეყანა ააშენა, მტერი გაუფრთხო და გაუფანტა, და დღეს ჩვენ თუ ჩვენს ბინაზე ვართ, ეს, იქნება, იმისი ღვაწლი, იმისი სამსახურიც უფრო იყოს, დიდება სახელსა მისსა..." (14.209). ლაკონიური, ტევადი და ობიექტურია ეს შეფასება.

იჭავჭავაძე დავითისნაირ პიროვნებებს სამართლიანად აკუთვნებს განსაკუთრებულ ადგილს ყოველი ერის ისტორიაში. ისინი ზნეობრივ მაგალითებსაც წარმოადგენენ ხალხისთვის და თავიანთი მოქმედებით მომავლის იმედსაც უნერგავენ მას. "ჩვენთვის, ადამიანებისათვის საჭიროა, - ამბობს ბრძენი სენეკა, იმისთანა კაცი, რომ მის მიხედვით და მაგალითით შევიძლოთ საკუთარი ხასიათის გაწვრთნა და განმტკიცება. ოპ, რა ბედნიერია იგი, ვინც არამთუ ჩვენთან ყოფნით გეწვრთნის ჩვენ, არამედ მართო თავისი სახელის ხსენებითაც" (14.209). ასეთად უსახებოდა ილიას, სავსებით სამართლიანად, დიდი დავითი - მისი ღვაწლითა და დამსახურებით ქართველი ერის წინაშე.

თამარის მეფობა ქვეყნის შემდგომი გაძლიერების ხანაა. მისი ბრწყინვალეობა და სიდიადე ისტორიკოსთა არცერთ თაობას საკამათოდ არ გაუხდია. მხოლოდ ჯანსაღ აზრს მოკლებულ გაიმეცნიერთა ნაწილი თვლიდა ამ ეპოქას საქართველოს პოლიტიკური დატინების, ერის ზნეობრივი დეგრადაციის დასაწყისად... მათი პოზიცია იეჯავახიშვილის შემდეგ სიტყვებშია გაცხადებული: "მუხნედავად ბრწყინვალეობისა და გარეგნული სიდიადისა, მას შეიძლება ვუწოდოთ ზნეობრივი გახრწნისა და პოლიტიკური დატეხის დაწყების საუკუნე. ამ სამეფოს მთელი გარეგნული ელვარება ანარეკლი იყო ადრინდელი სიდიადისა და არა ხალხის ნამდვილი კეთილდღეობისა. მართლაცადა, არსებითად რა გაკეთდა მნიშვნელოვანი საქართველოს ისტორიის ამ ეგრეთ წოდებულ ოქროს საუკუნეში? არაფერი, უამრავი ფული უაზროდ იფლანგება სასახლის მდიდრულად მორთვაზე, მონასტრებისა და ტაძრების მშენებლობაზე, რომლებიც ისედაც ბლომად იყო საქართველოში" (15.53).

მეტად შეუწყნარებელი ჩანს ნ.ნიკოლაძის კრიტიკული დამოკიდებულება ჩვენი ისტორიის ძველი პერიოდისადმი. იგი თითქოს

საველეურობს იეჯავადარს: "რა საჭირო იყო ამოდენა დროისა და ენერჯიის შელევა იმისთანა მკვლარი საგნისადმი, როგორც საქართველოს ძველი ისტორია... თუ მაინცდამაინც მოსცდება (მკვლევარი, - დ.მ.) - კიდევ მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნის ისტორია მიეტყვეება, რომ გამოიძიოს და გამოიჩვენოს" (7.130).

წარსულისადმი ასეთი მიდგომით იგი არსებითად გზას უხსნიდა სხვადასხვა ჯურის მეზღაპრებს ისტორიის გასაყალბებლად. ამიტომ ნიკოლაძის გამოხმაურებამ ილიას სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია: "როგორ, სხვა საუკუნეები რაღათ უნდა მიგაფუჩჩებინონ, რაკი ჩვენი ისტორიის კვლევასა და გამოძიებაზეა საუბარი. ორში ერთი, - ან ის სხვა საუკუნეები სულ არ ყოფილან, ან ყოფილან. და ყოფნადაც არ ღირებულან, თორემ რა სათქმელია, სამი ათასი წლის ისტორიაში მართო ორის უკანასკნელის საუკუნის აკვარგანობა გვეპატიება, რომ იკვლიო და იცოდეო" (12.210). იეჯავადარის მტკიცებაც - თითქოს მდიდრულად მორთული სასახლეების, ეკლესიამონასტრების მშენებლობა თამარის მეფობის ნაკლი ყოფილიყოს, ილიამ დამაჯერებლად გააბათილა: "რომელს ისტორიაში თქმულია, - წერდა იგი, - რომ ამუნება, გამართვა, სახსოვრების აგება - თუნდაც მონასტრებისა და ტაძრებისაც - წუნად ჩათვალოს რომელსაშე ერსა, ანუ ერის ბედის გამგებელსა... ერს შეხვდება ხოლმე დრო, როცა თუნდ მონასტრებისა და ტაძრების შენებით წყურვილს სულისას იკლავს ხოლმე. ეს საპატიო წყურვილია, იმიტომ რომ სათავე წარმატებისა ეს წყურვილია და სხვა არა-რა" (14.67).

იჭავჭავაძე სწორედ კულტურულ პროგრესს აფასებდა ყველაზე მეტად ყოველი ხალხის ისტორიაში.

...დიდებულ ეპოქას უბედურების ხანა ცვლის. XVII საუკუნე ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული პერიოდია საქართველოსათვის. დაშლილ-დაქუცმაცებული ქვეყანა, განუწყვეტელი შინაომებით დაოსებული. თითქმის უუნარო გარეშე მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად. ასეთ დროს მოუწია მეფობა ლუარსაბ მეორეს. მეფის თავგანწირვა ზნეობრივი სიმტკიცის მაგალითი იყო ერისათვის. ეროვნულ-რელიგიური მრწამსის ერთგულებითა თვის მის მოწამებრივ სიკვდილს ასე აფასებდა ილია: "მხოლოდ დიდ-ბუნებანთა კაცთა თვისებაა ერთხელ რწმენილი და აღიარებული გაიხადონ თავის სიცოცხლის სავნად და მას ქვეშ დაუგონ თავისი ცხოვრება და, თუ

საჭიროება მოითხოვს, შესწირონ თავი თავისიცა ნიშნად იმისა, რომ ჭეშმარიტება მეტად უღირთ, ვიდრე საკუთარი თავი და საკუთარი სიცოცხლე..." (14.219).

მონღოლთა ბატონობის პერიოდში მომხდარ მსგავს შემთხვევას კი ილიამ შესანიშნავი პოემა "დემეტრე თავდადებული" უძღვნა, სადაც ხოტბა შეასხა ქვეყნისათვის თავდადებულ მეფეს.

ყურადღებას იწვევს გ.სააკაძის პიროვნების იჭავჭავაძისეული შეფასებაც. თუ XVII საუკუნის ისტორიული მწერლობა მოურავისადმი ძირითადად დადებითად არის განწყობილი, მომდევნო პერიოდში ეს დამოკიდებულება მკვეთრად იცვლება. საყურადღებოა გ.ღვინიძის მოსაზრება, რომელიც ამ ფაქტს იმით ხსნიდა, რომ XVIII საუკუნიდან სამეფო ტახტი თეიმურაზ პირველის შთამომავლებს უპყრიათ (8.11).

ილიას მოურავი წარმოდგენილი ჰყავს დიდი ნიჭის მქონე, სხვათაგან უდაოდ გამორჩეულ ადამიანად, რომლის ცხოვრებაც, დროის სიმუხთლის გამო, "ერთი დიდი ტრაგედიაა, განსაკვირველი და გასაოცებელი" (14.215). მისი პიროვნების ტრაგიზმს, ილიას აზრით, ფეოდალური არისტოკრატის აშკარა ზნეობრივი დაკნინება, ცენტრალური ხელისუფლების შესუსტება და, ზოგადად, ქვეყნის საკვალალო მდგომარეობა ქმნიდა. ასეთ პირობებში პირადი შური, ბინძური ინტრიგები ხშირად განსაზღვრავენ კიდევ ადამიანის ბედს. "დიდი მოურავი თუმცა ყოვლად ნიჭიერი კაცი იყო, ყოვლად მხნე სახელმწიფო კაცი და წარჩინებული მეომარი და სარდალი, მაგრამ ყოველივე ეს ვერ იპატიებდა მას მდაბალ-ბუნებითა კაცთა შურისაგან. ეს ნაძირალი გრძნობა ადამიანის ავზნეობისა ბევრს მეტოქეს და მოშურნეს მოუპოვებდა მაშინდელ დიდებულთა შორის, რომელთაც მოდგმა უფრო დიდ ღირსებად მიაჩნდათ, ვიდრე ნიჭიერი დიდ-ბუნებიანობა" (14.216). ილია სინანულს გამოთქვამდა იმის გამო, რომ სააკაძის პიროვნების პრობლემა არ იყო სწავლულთაგან ობიექტურად და დამაჯერებლად გამოკვლეული: "მისი აკაკრგინობით აღსაესე განსაცდელიანი ცხოვრება და საოცარნი მოქმედებანი, მისი ავად და კარვად აღსახსნელნი დიდნი საქმენი ვერ შიგნეულად გამოძიებულნი არ არიან და ელიან პირუთენელს გამკითხველსა" (14.215). სააკაძის პიროვნებისადმი ასეთი მიდგომა დღესაც საგულისხმოა.

თავისუფალი საქართველოს უკანასკნელ წლებს აღვიწერს და იმ დროის ურთულესი პროცესების ზუსტ პოლიტიკურ შეფასებას გაძლევს იჭავჭავაძე წერილში "ასის წლის წინათ". XVIII საუკუნის მიწურულზე საუბარს იგი გმირი მეფის, ერეკლე მეორის გარდაცვალებით იწყებს: "ნახვეარ საუკუნეზე მეტი ხმალი-ამოღებული კატრონობდა და თავგამოძებებით, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ინახავდა ყველა მილეთის თესლის კაცს, ვინც კი შემოკედლებულნი იყვნენ მის საფარველ ქვეშ, რომელმაც ზედ შეაკლა ტფილისს თვისნი შეილნი, თვისნი ქართველნი, რომ ტფილისნი გადაერჩინა ძარცვა ტაცებისა და ტყვეობისაგან" (13. 208). ილია დიდად აფასებდა ერეკლეს იშვიათ სამხედრო ნიჭს, მის თავდადებას ქვეყნისათვის, საკვირველ საგმირო საქმეებს, მაგრამ, ამასთან, უკმაყოფილო იყო მისი პოლიტიკით, რომელმაც კოლონიურ მდგომარეობაში ჩააგდო ქვეყანა. მას მიაჩნდა, რომ ერეკლემ შეცდომა დაუშვა იმერეთის შემოერთებაზე უარის თქმით, რომ გაერთიანებული საქართველო რუსეთისაკენ საბუღისწერო ნაბიჯის გადაუდგმელად გაუშკლავდებოდა თავის მტრებს.

როგორც ვნახეთ, ილიას სწორად ესმოდა პიროვნების როლი ისტორიაში, და სავსებით ადეკვატურად აფასებდა გამოჩენილ მოღვაწეთა დამსახურებას ქვეყნის წინაშე.

ლიტერატურა და წყაროები:

1. სპარათაშვილი. საქართველოს ისტორია. რვეული პირველი, 1895.
2. დბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. პეტერბ., 1878.
3. დბაქრაძე. ისტორია საქართველოსი უძველესი დროიდან X საუკუნის დასასრულამდე. 1889.
4. ი.გოგებაშვილი. თხზულებანი. ტ.3, 1954.
5. "დროება", 1876, 30/V, №53.
6. ვაჟა-ფშაველა. თხზულებები. ტ.8, 1964.
7. ა.იოსელიანი. საქართველოს ისტორიის პრობლემები და თერგდალეულნი. 1972.
8. გ.გლონიძე. ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ.ქ. 1949.
9. კ.მარქსი. თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა. 1932.
10. ნ.ნიკოლაძე. რჩეული ნაწერები. ტ.1, 1931.
11. ა.წერეთელი. თხზულებები. ტ.13, 1961.
12. ი.ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული. ტ.2, 1988.
13. ი.ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული. ტ.3, 1988.
14. ი.ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული. ტ.5, 1988.
15. ი.ჯაბაძარი. წერილები საქართველოზე. "სვედური ვესტნიკი", 1889, №3.
16. ი.ჯავახიშვილი. ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია, 1938.
17. Д.Кипиани. Несколько мыслей о материалах для истории Грузии, "Кавказ", 1854, №39.